

ARNOLD CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS
RUSTAVELI FOUNDATION
Materials for the Study of Kartvelian Languages, X

IZA CHANTLADZE
KETEVA MARGIANI-DADVANI, KETEVA MARGIANI-SUBARI
MEDEA SAGLIANI, RUSUDAN IOSELIANI

THE KODORI CHRONICLES

(With Researches)

V o l u m e I

Tbilisi
2007-2010

წიგნი ეძღვნება რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფხაზეთში გმირულად
დაღუპული “კაი ყმების” ხსოვნას...

**The book is dedicated to the memory of the heroes who were brutally slain
the Russian-Georgian war in Abkhazia ...**

ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს? –
პირველად ომის დამწყები,
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს...
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს...

კაქა

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

ნოდარ ანდღულაძე, ავთანდილ არაბული, გურამ ბენდინიშვილი, თინათინ ბოჭორიშვილი, თეიმურაზ გვანცელაძე, იოსტ გიპერტი, გიორგი გოგოლაშვილი, ლალი ეზუგბაია, მანანა თანდაშვილი, ხათუნა იოსელიანი, ჯანრი კაშია, ანა მესხი, მიხეილ ქურდიანი (მ თ ა ე ა რ ი რ ე დ ა ქ ც ო რ ი), ზურაბ ჭუმბურიძე.

რ ე ც ე ნ ე ნ ტ ე ბ ი : ელისაბედ გაზდელიანი, ცირა გოგებაშვილი,
ივანე ლეჟავა, ნანა მაჭავარიანი

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლელა მარგიანი, ბექა სუბარი, იზა ბენდინიშვილი

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, მუშანტარულ და სოციალური მეცნიერებათა ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (-XXX-08). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, მუშანტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

Editorial Board

Nodar Andguladze, Avtandil Arabuli, Tinatin Bochorishvili, Teimuraz Gvantseladze, Jost Gippert, Giorgi Goglashvili, Lali Ezugbaia, Manana Tandashvili, Khatuna Ioseliani, Janri Kashia, Anna Meskhi, Mikheil Kurdiani (Editor-in-Chief), Zurab Chumburidze.

**Reviewed by: Elisabed Gazdeliani, Tsira Gogebashvili,
Ivane Lezhava, Nana Machavariani**

**Technical editor: Levan Vashakidze
Computer services: Lela Margiani, Beka Subari, Iza Bendianishvili**

The project is funded by the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (Grant ND-XXX-08). All ideas expressed in the work belong to the authors, and may not represent the opinion of the Foundation (www.rustaveli.org.ge)

© არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ISBN 978-9941-9097-8-8

ყველა საავტორო უფლება დაცულია
COPYRIGHT©2010

გამომცემლობა
„ბლობალ – პრინტი“

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ე ა ო ბ ა

კოდორის ხეობის ზემო წელის (resp. დაღის) მოსახლეობის დღემდე თითქმის შეუსწავლელი სვანური მეტყველების კვლევას გამორჩეული ადგილი უკავია არა მხოლოდ საკუთრივ ქართვლოლოგის, არამედ ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც.

კოდორის ხეობა სვანთა განსახლების ერთ-ერთი უძველესი კერაა. ამ სამყაროში ყოველთვის ერთმანეთს ერწყმოდა და ერწყმის სხვადასხვა ენობრივ-დიალექტური მოვლენა, რაც აშკარა ინტერფერენციის შედეგია; ამასთანავე, გამოიკვეთა ას წელს გადაცილებულ მცოვანთა მეტყველება, რომელიც არაერთი არქაიზმის შემცველია.

წინამდებარე წიგნი მნიშვნელოვანია და ფასეული იმითაც, რომ, სხვა ანალოგიური პროზაული პუბლიკაციებისგან განსხვავებით, აქ სვანურის პარალელურად მოცემულია შესაბამისი ქართული ტექსტები; თავის დროზე ზედმიწევნით შესატყვისები წარმოადგინეს ელისაბედ გაზდელიანმა და როენა ჭკადუამ, მაგრამ იმის გამო, რომ ქართულენოვანი მკითხველისათვის ხშირ შემთხვევაში ბევრი რამ შეიძლებოდა ბუნდოვანი აღმოჩენილიყო, იზა ჩანტლაძე და ქეთევან მარგინან-სუბარი შეეცადნენ შეესრულებინათ ამ ურთულესი ტექსტების შედარებით თავისუფალი თარგმანი (სვანური ენის საეციოციის გათვალისწინებით), ოღონდ “აზრობრივი იდენტურობის” დაცვით, რაც მოქმედებთან კიდევ ერთხელ გადაამოწმეს წიგნის დანარჩენმა ავტორებმა: ქეთევან მარგინან-დადენამა და რუსუდან იოსელიანმა წარმოშობით ბალსზემოელთა მეტყველება, სოლო ბალსქვემო სვანეთიდან ჩასახლებულთა მასალები – ქეთევან მარგინან-სუბარმა (ბერსური და ჩუბუხური) და მედეა საღლიანმა (ცხუმარული, ვცერული და ფარული).

რამდენადმე შეეცვალეთ სვანური პუბლიკაციებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ორთოგრაფიაც (ეს განსაკუთრებით ეხება პრევერბიან ფორმებს) და მორფემათა ზღვარზე დაემატეთ ორი ახალი სიმბოლო ა და ბ.

წიგნში უხვადაა წარმოდგენილი ქართველოლოგთა მიერ აღიარებული ეტიმოლოგიები, აგრეთვე, იზა ჩანტლაძისა (ძირითადად) და მედეა საღლიანის (ნაწილობრივ) ახალი მიგნებანიც.

ამავე კრებულში ვებჭდაეთ ჩვენი საერთაშორისო პროექტის (ECLiNG) მოთხოვნათა შესაბამისად ფიქსირებულ ტექსტებსაც, შესრულებულს რუსუდან იოსელიანის მიერ, ოღონდ განსხვავებული შრომითი (Titus Mxedruli). განსაკუთრებით მინდა გამოველო მისი საგანგებო გამზავრება ფრანკფურტის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგრანტო პროექტისთვის აუცილებელი ურთულესი კომპიუტერული პროგრამის ასათვისებლად, აგრეთვე, კოდორელი ქეთევან მარგინან-დადენისა და ჭუბერელი ქეთევან მარგინან-სუბარის დიდი დამსახურება ათასგვარი პრაქტიკული საქმის მოგვარებაში.

როგორც მეცნიერული, ისე პოლიგრაფიული თვალსაზრისით ურთულესი წიგნი მზის სინათლეს მერ იხილავდა, რომ არა გამოეცემებოდა “გლობალ პრინტი“-ს დირექტორი ქალბატონი მარინე შარკოზაშვილი და ჩემი ერთადერთი შეილი თამარ ჩანტლაძე.

წიგნის ავტორებმა უკვე დავიწყეთ ზრუნვა “კოდორული ქრონიკების” მეორე ტომის მომზადებისთვის და გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ნაღვაწი გარკვეულ წელიწადში შეიტანს ქართველი და აფხაზი ხალხების ადრინდელი კეთილმეზობლური, მეგობრული და ნათესაური ურთიერთობების აღდგენაში.

კოდორის ხეობის მოსახლეობის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პირველი ნაბიჯები, თავისთავად ცხადია, უშეცდომო ვერ იქნება; ნებისმიერ საქმიან შენიშვნას სიაშოვნებით მივიღებთ და მომავლისთვისაც ვავითვალისწინებთ.

2008 წლის აგვისტოს ცნობილი პოლიტიკურ-სამხედრო ბატალიების შემდეგ განსაკუთრებით ფასეულია მნიშვნელობა წინამდებარე ნაშრომში დიאלოგის ფორმით გადმოცემული რეალური ფაქტებისა, რომელთა პუბლიკაცია განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული რუსთაველის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ტრადიციული მასპინძლობისა და თანადგომისათვის უღრმეს მადლობას მოვასხსენებთ სამკვიდროდან ახლა უკვე იძულებით გადაადგილებულ გმირ ქართველებს.

იზა ჩანტლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ქართველოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი

F O R E W O R D

The study of insignificantly examined Svan speech of the population of the Kodori (Dali) Gorge plays an important role not only from a Kartvelological perspective but also from the viewpoint of general linguistics. Elucidating interdisciplinary problems of the region will throw light on a number of results obtained through indefatigable labor of many a scholar in different fields of science. This is the area of study where various linguo-dialectal issues converge _ an obvious result of interference. Based on the work, archaic features determined by sociolinguistic specifics have been made more pronounced in the speech of century-old people.

The significance and value of the present work is determined by other factors, too. Unlike similar publications, Svan texts are accompanied by respective Georgian translations whose exact equivalents were provided by Elisabed Gazdeliani and Roena Chkadua. However, due to the complexity and vagueness of a number text segments for the Georgian reader, Iza Chantladze and Ketevan Margiani-Subari had to further adapt them and sometimes resort to free translation (or etymological analysis). The described procedures were performed with the aim of preserving specific Svan features within permissible limits and without impairing the “semantic identity” of texts. All translations were revised and checked with the respondents by other members of the group: Ketevan Margiani and Rusudan Ioseliani themselves from Upper Bal, examined respective texts, while the speech of Lower Bal was verified by Ketevan Margiani-Subari (Bechorian, Chubekhevian) and Medea Sagliani (Tskhumarian, Etsarian, Farian).

The traditional orthography of Svan publications has been insignificantly modified and two additional symbols \mathfrak{z} and \mathfrak{z}^{\prime} have been introduced.

The present collection includes several texts recorded according to the requirements of the international

project (ECLinG) and employs a different typeface (Titus Mxedruli).

The book features a number of etymologies accepted by kartvelologists as well as new discoveries made by Iza Chantladze (mainly) and Medea Sagliani.

I would like to especially stress the contribution of two Ketevan Margianis, one from Kodori and the other from Chuberi in the accomplishment of misceleneous practical tasks. In like manner, my thanks are due to Rusudan Ioseliani who went to Frankfurt University to master a most complex computer program necessary for the grant project.

Due to scholarly and polygraphic difficulties the book would never have seen daylight if not Ms. Marine Markozashvili, Director of Global Print's publishing house and my only daughter Tamar Chantladze who together with their families supported me constantly in the difficult process of carrying this most needed "burden" and removed every technical barrier.

We, my former doctorate students (now Associate or Academic Doctors) and I say "Good Bye" to all true patriots and Kartvelologists until the publication of volume II of *The Kodori Chronicles* and we hope that our labor will contribute to the restoration of former good neighbourly, friendly and kin relations between Georgians (in this case Svans) and Abkhazs peoples.

The first steps in the linguoculturological study of the population of the Kodori Gorge cannot but be without any errors; we wellcome advice and suggestions from any true-hearted person and scholar now and in the future.

Political and military battles of August 8-12, 2008 render special significance to the true facts described in the work. The financial support of the Rustaveli Foundation has made their publication possible.

From the bottom of our hearts we would like to thank the forcibly displaced hero Georgians for their surprising hospitality and dedication, who, far away from their native hearths and in front of our very eyes, pressed flowers, leaves, grass, and pebbles of their homeland against their hearts.

I t i s t h i s l o v e t h a t i l l u m i n a t e s t h e p r e s e n t b o o k .

Iza Chantladze

Doctor of Philological Sciences

Senior Researcher at the Arnold Chikobava Institute of Linguistics

The Honourable Professor of Ilia Chavchavadze State University

Head of the international center of Kartvelology at Shota Rustaveli State University

ლ ტ ო ლ უ ი ლ ი ლ ა მ ზ გ რ ა ლ

ღერბეთ-სამგართან, დიდებულთ აჯგუდა! მაინამდ ი მამბედნიერამდ ხოშა ღერთან ლომზირ-ლივგრანლ პ'ზრს ჩუხამურაჭუნს, მგრამამდ ნამელთ აგუმარაჭუა!

მგქემთარინგზელ ჰაჟს ი ბარაქსულთ გუაპული, გულან გაბრელ ხოჩა გუის გარულთ გუილქსიგა ი ხორემი ჭუნარსულთ გარ გუაისტარუნე. უმგულან მგქემთარგნეზელ, მელხან მაცხტარ, შეყარი ჭგვრანგ, კანლ ლანგურკა, აჟარან ჭგვრანგ ერთობილ საქართულელოსულთ გუიარლუნე ბედნიარდ ი ჭანმრთელდ — დიდებულთ ათჰვდა მინე წყგლიან ჟახანლსა სალჰუბრიშ სუნეტს ი ბარაქს, გამარაქსულთ გუაპული მეჰად! მამ ჭგვრანგი ლომზირ ადბინან, ეჟ ლადელხანქა ლანდიდ მაინამდ ი მამბედნიერამდ ჩუ-პ'ზრს-ხამარაჭუნს, მგრამამდ ნამელთ აგუმარაჭუა!

ღერბეთულთ აფშირე შუანისგა ლუნაჭუნარ ფაყუტ მგგემ მახელრეაქსისა ლეთ ი ლადელ, დარ ი ჰაუდარ, შუკუტ ი ზგზ — მანგ ბედნიერულთ გუნარი ქრისტიანულ ლომზირ-ლივგრანლ ერუბანდ მანკუტიდ ადბინე, მანგ ლგმზგრეუთ გუნარ, ჩისულთ ხაშიდ შუანანდ ხატარ ი ანგლტეზარს!

შუანულთ მარ ლგმზგრეი დეშლოხტიმდ ზანდ ლი, დმანისთე ხუი ქამეკლე, მარე ეშხუ ლეთი მამ მანსანუნეა დმანისლა მამგულეშ; ჩინლეთ შუნანს გარ ხუნარი მანანტუშე. სემეშდიოორი ზანდ ოთზგვირ; შუანისგა კუთხულდ მამ მიცუტირ, მამ ერ მიჩლენს ი ჰეშაიხან ჩუ მიჩლი, მეჰად მანგ მენსანტუხ — დმანის ი დმანისეღარ ჩიქე დარ მანსანუნანხ ი იმლალო, მამ მიხა! ეჟდარს მიშგოულდ მამგულეშ ხოდაუშახ, მარე, იმტანდ ალთენანდ, ეჟ გიმ ხეკუტეს ალმანარად, ჰაგანრ იმტანდ გუიზელანლა ი ქუტყენიშ ი უშხუნარე მალატ გუნარ ნათორ!

შუანს ნაშუან ნოშომატ ათუახუნაი შუანანდ ლისეგბან მგკედ ნარულთ ალთენელი, ქალგთენე ჟინომატ-აღარდელი!

სემი მუშულთი ქალიშ — ენგურიშ, კოდორიშ ი ცხენისწყალი ტუბიბარისგა მელზიგანლ ხანლ მეჰად ლგმზგრეუთ ლი!

ადხუნეთი ლანშაილისგა ლგკაც მახელრეაქსის ქრისლენ ყორულთ ხარხ მგკარ, ერბუნანსდ თუიმი სარანგ ახანდენლ, ზეთუშ ხაუჩხენლხ ი ბამანამუშ ხაშულდუნე! ეჟდარე ჭიშხი ნანკუტირ ეჟერუთ ლი, ერე ამირიდეტუშელ ლგზანდ ხოხუნრა ნორ ლესუთ ლემუნდუნეში!

უხლა ჰე ხუნესუდ, ჩიდ მაინენ ლგხანლი ნამზგრსუთ ლანემდ, ხოშა ღერბეთი.. ჭგვრანგულთ გუიფშირე კოჯარისგა ლუიშირე მელჰუინანლ მახელრეაქსის!

ლ ტ ო ლ ვ ი ლ ი 'ს' ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო
(“სალოცავი”¹ “სა-ზორ-ავი ან *სა-მზე-ერი”)

სამართლიანო ღმერთო (“ღმერთო-სამართალო”), დიდება შენს სახელს (“დიდებ-ა-მც მო-გ-ქდ-ომ-ია”)! საუკეთესოდ და უბედნიერესად დიდი ღმერთი “სადმი” ლოცვა-ვედრება თუკი ეინმეს გამართლებია (“მო-მა-რჯუ-ებ-ია”), მეორედ ჩვენ გავემართლებოდეს (“ჩვენამც მო-გ-ე-მ-არ-ჯუ-ებ-ია”)!
შემმატებელი მთავარანგელოზი! ძალ-ღონესა’ (“აჯა-ს”) და ბარაქას მოგვეცემს (“ბარა-ქა-ს-ა-მც გეაძლევს”), გული’ს გაბრიელი კარგ განწყობაზე გვაძეგვებს (“კარგ გულ-ს-ა-მც გე-ი-ღ-ებ-ს”) და მხოლოდ კარგ ჯვარს დაგვიწერს. უშუალო’ს “მიქემ”-მთავარანგელოზო, კა-ლი’ს წმინდა კვირიკე, მულახი’ს მაცხოვარო, შიხერა’ს წმინდა გიორგი, აჯარის’ წმინდა გიორგი, “ერთობილი” საქართველო გვამყოფე ბედნიერად და გაანმრთელად – დიდება (“დიდებ-ა-მც მი-ქდ-ომ-ია”) მათ წმინდა (“წყლ-იან”) სახელებს! საღვებრიში სვესა’ და ბარაქას, გამარჯვებას გვაძლევდეს (“გა-მა-რჯუ-ებ-ა-ს-ა’-მც გეაძლევს”) მუდამ! რაც წმინდა გიორგი’ს ლოცვა (“ზორ-ე-ა”) დაიწყო, იმ დღიდან დღემდე ყველაზე კარგად და ბედნიერად ვისაც გამართლებია, მეორედ ჩვენ გაგვიმართლოს!

ღმერთმა ამრავლოს სვანეთში ღვთიე ნაკურთხი (“ჯვარტამოსახული”) ქუელი’ს დამბურაჲი ვაუკაცები (“ღმერთ-იმც ა-გ-რ-ც-ი-ელ-ებ-ს ახალ-გა-ფ-ებ-ს”)! დღე და ღამე, დარი და აედარი, გზა (“შუკა”) და სავალი – ყველაფერი ბედნიერი გვეკონოდეს (“ბედ-ნი-ერი-მც გვივის”)! ქრისტიანული ლოცვა-ვედრება ვინც პირველად დაიწყო, ყველა დაგვილოცნია (“ზორ-ე-ი-ლი-მც გვივის”), ყველას უშეგლოს სვანეთი’ს ხატებმა და ანგელოზებმა (“ყველასამც შევიღის სუან-ეთ-ის” ხატ-ებ-ს და ანგელოზ-ებ-ი”)!
მინდა სვანეთი დაელოცო (“სუან-ეთ-იმც მივის ზორ-ე-ი-ლი”)! თხუთმეტი წელია, დმანისში ვარ გადმოსული (“გა-დ-მო-მ-ქ-დ-არ-ი”), მაგრამ ერთი ღამეც კი არ დამსიზმრებია (“მ-მ-ის-ნებ-ია”) დმანისზე რაზე; ყოველდამ მხოლოდ სვანეთში (“სუან-ეთ-ს”) ვარ სიზმარში. ოცდაათორმეტი წელი შემისრულდა; სვანეთში კუთხე-კუნჯული არ ‘და’მრჩენია, რომ არ მენახოს და ყოფილიყავი (“ნამყოფიყო”) თუ ვინმესთან ყოფილვარ, ყველა’ნი მუდამ მესიზმრებიან – დმანის და დმანისებელი ჯერ არავინ ‘და’მსიზმრებია’ნ და რატომ, არ ვიცი! იმათ ჩემთვის (“ჩემამც”) არაფერი დაუშვებიათ, მაგრამ, სადაც დავიბადეთ (“გაქონდით < “გა-ერთ-ნ-დ-ი-თ”), ის მიწა უნდა დაელოცოთ, სადაც ფეხშიშველა გვივილია და ქვეყნისა’ თუ ერთმანეთი’ს სიყვარული გვისწავლია (“გვივის ნასწავლი”)!
სვანეთს ნახვანეთარი არასოდეს არ დატყუოდეს! სვანეთი’ს ღირსები’ს წამრთმევი (“ამღებო < ა-მ-კ-იდ-ებ-ელ-ი”) არავინ დაბადებულყოფს, დაბადებულს არ გაზრდილიყო!

სამი ბობოქარი (“ხმაურანი < სულ-იანი, *მო-სულ-ე”) მდინარის (“ჭაღ-ის”) – ენგურის, კოდორისა’ და ცხენისწყლი’ს – ხეობებში (“ტბ-ებ-ს-ში”) მცხოვრები ხალხი მუდამ დალოცვილი ყოფილიყავი (“ზორ-ე-ი-ლი-მც არის”)!
აუხანეთი’ს ომში დაღუპულ (“და-კ-ოც-ილ”) ვაჟაკებს ქრისტე’ს კარი ღია პქონოდეთ (“ყორ-მც უეისთ მო-კარ-ე”), სასუფიველში (“სა-ი-ქ-ი-ო-ს”) თაფლი’ს წყარო მოსდოდეთ. ზუთით აწვიმდეთ და ბაბიით ათოფდეთ! ისეთი იყოს (“ე-გ-ის’-ზე-მც არის”) იმათი ფეხი’ს (“ქუარცხ-ლი-ს”) დანატოფარი, რომ ას(და)ოცი წლის ქვემოთ (“წლად მცარე”) შენდობის სათქმელი (“შე’სანდ-ობ-ი”) არავინ იყოს!

უვიცები თუ ვიყოთ, ყველაზე საუკეთესო მცოდნის ნალოცავივით შეგვეწვი, დიდო ღმერთო!.. წმინდა გიორგიმ გვიმრავლოს კლდეებში ჯიხებებ’ს მდენეელი ვაჟაკები (“წმინდა გიორგი-მც გე-ი-ფ-რ-ც-ი-ელ-ებ-ს”) ...ახალ-გა-ფ-ებ-ს”)!.

¹ მექმემქმან მთარგნულ/თარგნულერ’ს სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, არ თარგმნიან (იხ. პარადევიძე 1939: 66, 121, 176...), მაგრამ უკანასკნელ ნაწილში ვინფროდ ბოლდუმა წარმოადგინა ამ სინტაქსის როგორც გერმანული (Der Mehrer Trinkspruch, d. h. der Erzenge), ისე ქართული (“შემმატებელი მთავარანგელოზი”) ვარიანტები (Boeder W., Swanische Trinksprüche, Georgica, 31, Aachen, 2008-2009, გვ. 22, 32), ამიტომ ჩვენც ეს მეთოდი ვარჩიეთ (ა. ბ.).

Refugee's Toast


Just God (“God-Justice”), glory to your name (“Let glory come to you”)! If anyone’s prayer to Great God has come true in its best and happy manner, let us be the second to be that lucky. Let Archangel Mikem bestow plenty on us, let the Gul-Gabriel of our hearts keep us in good spirits (“Let him put kind hearts in us”) and protect us. Archangel of Ushguli, keep us and entire Georgia together (“Let us be together”) happily, and full of health - Glory to His name (“Let glory go His way”)! Let Salchubrisi grant us happiness and fertility, and all-time victory! Let us be the second to those lucky people who have been exceptionally fortunate since the day when prayers to Saint George commenced to date! Let God multiply the fellows wearing caps with cross marks on the crown! Day and night, fine and bad weather, road and distance - let everything hold luck for us! Blessed be all who were the first to initiate Christian worship, let Svaneti’s *khati* (“shrine”) and angel, Svaneti’s imploration and prayers protect everyone! I want to bless Svaneti. I have been living in Dmanisi for the last fifteen years, and I have had no dreams about this place; every night, I am in Svaneti in my dreams. I am thirty-two now; I have visited every corner of Svaneti and all the people I have ever met or seen are in my dreams _ Dmanisi and its people are never in my dreams, I don’t know why! They have done nothing bad to me, but we have to bless the land where we were born, where we walked barefooted, and where we learnt the love of the homeland, and the love for each other! **Let Svaneti be never called Nasvanetari! Let no one taking Svaneti’s dignity away be born, let a born one – never grow up!**


Let the people living in the valleys of the raving rivers of the Enguri, Kodori, and Tskhenistskali be always blessed!

Let Christ’s gate be open for the heroes felled in the Abkhazian war, let the stream of honey be their drinking water in the heavens! Let the rain of oil rain, and the snow of cotton snow for them! Let their footprints ensure that those who pronounce toasts in memory of the slain heroes be no younger than 120!

Great God, if we are ignorant, accept our prayer as from the most knowledgeable, and aid us... Let Saint George multiply our fellow-hunters pursuing wild goats among steep cliffs!..

ჩრდილო-დასავლეთი საქართველო





ქოლოვსკის ხეობის ზემო წელი (დადი)

კოდორის ხეობის (დალის) მოსახლეობის მეტყველების
ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგები¹

შემთხვევითი არაა, რომ თავის დროზე ნიკო მარი საგანგებოდ აღნიშნავდა: „საქართველო ცოცხალ საენათმეცნიერო მუზეუმს წარმოადგენს“.ო. თავი რომ დაენახებოთ არამონათესავე ენებს, საქართველოს ენობრივი სამყაროს საოცარი სიმდიდრის საჩვენებლად მარტო ქართული ენის 17 თუ უმწერლობო ქართველურ ენათა (სვანური, მეგრული, ლაზური) 10 დიალექტის დასახელებაც იკმარებდა (დღესდღეობით ენობრივ ერთეულთა ზუსტი საკლასიფიკაციო ნიშნისა თუ ნიშნების არარსებობის გამო, ამგვარ დიფერენცირებულ მონაცემთა რაოდენობა ბოლომდე გარკვეული არ არის)!

ფასდაუდებელია დამწერლობისა და მწერლობის მნიშვნელობა ცალკეულ ეროვნებათა თუ ეთნოსთა ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უპირობადესი როლი ენიჭება სახელმწიფო (საღიტიერატურო) ენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხალი მეტყველების კვლევა ნაკლები ღირებულებისაა! არა მხოლოდ არქაულ ლექსებთან თუ გრამატიკულ მოვლენათა შემონახვის თვალსაზრისით, არამედ არაკანონიკურ, არანორმირებულ, თავისუფალი განვითარების მქონე უმწერლობო ენებსა და დიალექტ-კილოკაეებს უდიდესი დეაფლი შეიძლება ჰქონდეთ უნივერსალიათა თუ „ენების ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გადასაწყვეტად“ (ე. ჰუმბოლდტი).

საუკუნის წინ ითქვა დიდებული რამ ნიკო მარის მიერ: „ეფიქრობდი, რომ სინას მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ქართული დათარიღებული ხელნაწერი 864 წლისა მომცემდა ქართული ენის უძველეს სახეს, მაგრამ იმედი გამიცრუედა და განცვიფრებულიც დაერჩი: ძველი სამწერლობო ენა არ აღმოჩნდა იმდენად არქაული (სახი ჩვენია – ი. ჩ.), რამდენადაც ეფიქრობდი; პირიქით, ის ამტკიცებდა ცოცხალი ქართული მეტყველების ბევრ თავისებურებათა კანონიერებასა და სიძველეს“ (მარი, 1911:12).

წერილობით ძეგლებს, თუნდაც უძველესთ, არ შეუძლიათ გასწიონ ცოცხალი ხალხური ენის მაგიერობა. ისინი ვერ წარმოადგენენ გრამატიკულ ფორმებსა და მათ ფუნქციებს მთელი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ენების შესწავლა, რომლებიც ქმნიან მეტყველების თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობებს და შებოჭილი არ არიან ლიტერატურის საქმეში ჩარევით. “ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდომები ქართული (ქართველური) ტომების (სახი ჩვენია – ი. ჩ.): ლაზების, მეგრელებისა და სვანებისა, რომელთაც არა აქვთ მწერლობა. ამ ერებში ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ – მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა წარმოვადგინოთ ქართული ენის ნათესაობა და განვითარება (ცვაარელი, 1880:2).

როცა არქაიზმებზეა მსჯელობა, ქართველურ ენათა სამყაროდან, უპირველეს ყოვლისა, სვანური უნდა გავგახსენდეს, მით უფრო, რომ სხეებთან შედარებით მან ყველაზე ნაკლებ განიცადა ინტერფერენციის პროცესები მონათესავე თუ არამონათესავე, სამწერლობო თუ უმწერლობო ენებთან.

¹ სტატიაში, პირითადად, ასახულია 2008 წლის აგვისტოს ცნობილ პოლიტიკურ ბატალივებამდე არსებული ვითარება.



კოდორის ხეობის ზემო ნაწილი (დალი)

ბას გეაძღვეს არაერთი ბრწყინვალე ნაშრომი (აკაკი შანიძის აუტობიოგრაფია „სვანური ზმნა“, გერარდტ დეკეტერსის „Das karthwelische Verbum“, თაბაჩ გამყრელიძისა და გივი მაკავარიანის „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“...), ეტიმოლოგიური ძიებანი თუ ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონები არნოდლ შიქობავასი, კარლ შმიდტისა, გიორგი კლიმოვისა, ზურაბ სარჯველიძისა, ჰაინც ფენრიხისა, ავთანდილ არბუჯისა, მიხეილ ქურდიანისა, ვაჟა შენგელიასი, მურმან სუხიშვილისა, მერაბ ჩუხუასი... სვანური ენისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები მაქსიმე ქაღლიანისა, ალექსანდრე ონიანისა, ზურაბ ჭუმბურეძისა, ვინფრიდ ბოლდერისა, ჰაინც ფენრიხისა, იოსტ გიმპერტისა, კევირ ტუიტისა... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის შესახებ – ეს გახლდათ ვარლამ თოფურეძის „სვანური ენის სახელმძღვანელო“, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ ავტორს საწერ მატერიალს დაუთმავრებელი სახით. როგორც იქნა, დაავასრულეთ ეს დიდებული ნაშრომი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტის წყალობით იგი ახლახან იხილა სამეცნიერო საზოგადოებამ. გვეჯერა, რომ ეს სახელმძღვანელო მალე იქცევა არა მხოლოდ სტუდენტ-მაგისტრანტთა თუ დოქტორანტთა, არამედ ყველა ქართველოლოგის სამაგიდლო წიგნად, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი ნაწილი შეიქმნა ორმოცდაათი წლის წინ.

„სვანური ენა, ისევე როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში“ (დონდუა, 1967:7).

ენგურისა და ცხენისწყლის ხეობათა ტერიტორიაზე მოსახლე სვანთა მეტყველება დღეისათვის მეტწილად შესწავლილია ამის თქმის უფლებად.



„ნისლი ყიქრია მთებისა



კოდორის ხეობის ევკედეები: ზაბზახა, ანანო და ნინო

სამწუხაროდ, კოდორის ხეობის მოსახლეობის სფერული მეტეკედეება, დღემდე თითქმის შეუსწავლელია არათუ ინტერდისციპლინარული, არამედ საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისითაც. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ის გეოინტერესებს შემოსვანურ დიალექტთა ინტერფერენციის მხრივ, რაზედაც თავის დროზე მიუთითა პროფ. მაქსიმე ქაღლაძე (1970-82-90).

1938 წელს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა ვარლამ თოფურიას დაავალდებოთ მერი გუჯე

ჯაიხი და მაქსიმე ქაღლაძე საგანგებოდ მოაყენა „აფხაზეთის სივანთა“ მეტეკედეების შესასწავლად. არჩეული მათგანის მიერ შეკრიბილი 250 მეტროლოგიური ტერმინით თავის დროზე ივანე ჯავახიშვილიც კი დაინტერესებულა (გუჯეჯაიანი, 1939-273). გავიდა დრო და რატომღაც სპეციალისტებს თითქმის მიივიწყეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სივანები, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო. 2002 წელს არნალდ ჩიქობავას სახელობის ერთმეცნიერების ინსტიტუტის LXI სამეცნიერო ხეცაზე ისა ჩანტლაძემ წააკითხა მოხსენება თემაზე: “დეფექტურ ზნანთა თავისებურებაში კოდორის ხეობის სფანურში”, რომელიც საყუბელად დაედო შემდგომში ერთმეცნიერების ინსტიტუტის მიერ აქტიური მოსახლეობის სივანური მეტეკედეების საგანგებო შესწავლას მისივე ხელმძღვანელობით. უკანასკნელ ხანებში შედარებით გამოსწორდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ქეთევან მარგიაჩიას-ხუბარძას დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე “შემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი” (2008-2009 წ.); გამოქვეყნდა, აგრეთვე, ისა ჩანტლაძისა, ქეთევან მარგიაჩიას-დადიანიას და მედეა საღლიანიას რამდენიმე სტატია (იხ. ლიტერატურა).

1840 წელს, როცა წებუდის თემი და დაღის ხეობა აჯანყდნენ მიმე რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ, სივანები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე. ისინი თურქეთში იძულებით გადასახლებული დამარცხებული, მაგრამ დაუმორჩილებელი 5000-მდე მუჰაჯირი აფხაზის ნაკვლად ჩასახლებდნენ ხეობაში 1867 წლის შემდგომ პერიოდში. საუკუნისხშია, რომ ტოპონიმი დალი (სივანთა წარმოთქმით დალი) აფხაზეტმა უცხო ქვეყანაშიც კი გაიყოფოდა (ხორავა, 2004).

დალი გულისტკივილთა წერდა პეტრე ჭარია 1897 წელს: „ბევრად იტაურ მცხოვრებთა ეაკკოვობით განთქმული ქვეყანა დღეს გავერანებულა ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს“ (ჭარია, 1897:268). ნიკო მარის თვალსაზრისით, „Абхазия была обездолена на части... остались одни одичалые дворы с фруктовыми деревьями, ни души абхазской, ни звуки абхазского“ (მარი, 1938:177).

თავის დროზე ამ ადგილებში იმოგზაურა ბესარიონ ნივარაძემ. აი, რას წერს იგი: “აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში ერთი ხეობაა, ესრედ-წოდებული “დალი“-ის ხეობა, რომელიც ბუნებას ეყოყლდს გეარის სიუხით აუესია. აფხაზეტის გარდასახლებამდე ეს ხეობა მარღანიების თუ მარ-

შანიების საკუთრება ყოფილა; მათ შემდეგ ამ ხეობაში დასახლებულან ხან მეგრელები, ხან რუსები; 1878 წელს კი, რა წელსაც ჩვენ დალის ახლო მიწებზე დავიდოდით, აქ ესახლა ერთი რუსის ოჯახი და ძალიან მდიდრადაც ცხოვრებდა. ჩუბუხევის საზოგადოებაში სოფელ ცალერს არის ერთი გვარეულობა – გვარმიანები, რომლებიც დღესაც დარწმუნებით ამბობენ, რომ “ჩვენი წინაპრები დალის ხეობითგან ყოფილან გადმოსახლებულნიო” (ნიჟარაძე, 1964:51).

რუსების მეფის მონადგილის თანაშემწის — ეპატაციისთვის 1910 წლის 12 აგვისტოს წარდგენილი თხოვნის მიხედვით, ეცვირისა და ცხუმარის გლეხკაცობა შეად იყო, ზემო სვანეთიდან დაღში ჩასახლებულიყო, თუ თავადებისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების ნებას არ მისცემდნენ (გაბლიანი, 1925:72). საგულისხმოა, რომ შემდეგაც (გასული წლის 10 აგვისტომდე) კოდორის ხეობაში სწორედ ბალსჭეგოელები სტარბობდნენ ყოველთვის ბალსზემოელებს რაოდენობრივად, ალბათ იმიტომ, რომ ეს ტერიტორია შედარებით ახლოსაა ჭუბურთან, ვიდრე ზემო სვანეთის სხვა სოფლებთან.

მდინარე კოდორის ზემო წელში სვანების ჩასახლება არსებითად დასრულდა XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. რაღა თქმა უნდა, ისინი არ არიან მემკვიდრეები ამ ტერიტორიაზე ოდესმაც მობინადრე მისიზიანებისა, რომლებიც, ზოგი მცენერის (ყაუხნიშვილი, 1936:280; ინგოროყვა, 1954:144-145; მელიქიშვილი, 1959:65, 92, 100, 384; ქაღდანა, 1999¹: 50-57; მიბზუანი, 1989:128-143) აზრით, სვანური წარმომავლობისანები² იყვნენ, ზოგისთვის კი — აფხაზი ხალხის წებელდა-დალის ეთნიკური ჯგუფის უშუალო წინაპრები (ანჩაბაძე, 1964, 1976; ინალიფა, 1976:227-234), თუმცა საყურადღებო ფაქტია, რომ კოდორის ხეობაში ჩასახლების დროს სვანთა გარკვეული ნაწილი ცდილობდა, დაჰპატრონებოდა იმ საცხოვრებელ ადგილებს, სადაც, გადმოცემის მიხედვით, მათი შორეული წინაპარი ან მოგვარე ესახლა (ქაღდანა, 1999:58). ვფიქრობთ, ანგარიშგასაწვეი უნდა იყოს ისიც, რომ ერთ-ერთმა ომარიშაღელმა ინფორმატორმა ამგვარი რამ გვითხრა: **მიშგუ დადა ი ბაბა სგწმტეხნელის შეწანწან, ლენჭარჩანს, ლალზიგალდ ბარგმბათე** — “ჩემი ბებიის და ბაბუა გადმოსულან (<“დაბრუნებულან”) სვანეთიდან, ლენჯერიდან, საცხოვრებლად ბარუმბაში”, ხოლო მეორემ დაამატა: **მგლწარს, მანკუი ზაჰარისხა დწლთერ ატანსქა, ერქანლო ლომწუწარი ხწმთქუნწხ უწწუწარისხა** — მუღახლებს, პირველ წლებში დაღში რომ გაბრუნდნენ, იმის შემდეგ ერთმანეთის შეწყენა სჩეოდათ.

თანამედროვე სვანურში **ლიტ-უ** (მოჭ. გვ./ლიტ-უ (ენებ. გვ.) მასდარებს და მათ შესატყვის ზმნურ ფორმებს რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ “გადაადგილების” სემანტიკა მხოლოდ ბალსზემოურ მეტყველებებში გამოიყენება. ეტიმოლოგიურად, ვფიქრობთ, ამოსავალი და ძირითადი უნდა იყოს “დაბრუნების” შინაარსი, რომელიც სვანური ენის ყველა დიალექტსა თუ კილოყაში დახტურდება. მაშასადამე, ლენჯერული ჯაჯუანები კი არ გადაადგილდნენ სვანეთიდან კოდორის ხეობაში, არამედ დაბრუნდნენ სვანეთის ისტორიულ მიწა-წყალზე.

კოდორის ხეობაში სვანების უკანასკნელ ჩასახლებამდე (XXIX-XX ს.ს.) დალის თავადები იყვნენ გააფხაზებული მარშან³ები. სპეციალური ლიტერატურის (გასვიანი, 1990:210; 1998:104) მიხედვით, ისინი სვანეთის ერისთავების ფარჯანიან-ვარდანიძეების შთამომავლების — მარუშინთა მემკვიდრეები არიან. დღემდე შემორჩენილია დალის ხეობის სოფელ ლათაში, მდინარე არგუნთან ახლოს, მათი სასახლის ნანგრევები, **ლათა** კი სვანურია და ქართულად „გა“საყოფს, „გა“სანაწილებელს, „გა“საყარს, საზღვარს, მიჯნას“ აღნიშნავს.

¹ სტატია დაიწერა 1960 წელს.
² ნიკო ბერძენიშვილის აზრით, VII საუკუნეში ლაზიკას ჩამოცილებულია ყველა ბეგლი ქვეშევრდომი ქვეყანა: აბახთა-აფშილია, მისიზიანები, სვანთა, სკვანთა (ბერძენიშვილი, 1975:363), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „მისიზიანები“ და „სვანთა“ სხვადასხვა მონაცემთა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

იფარავლება, რომ აუხახი არგუნები წარმოშობით წებულდიან არიან (ახიძე, 1953:153-258). 1949 წელს სოფელ ცხემარში (სეფში) ჩაწერილი გადმოცემის იმეი ზღვიანს შუნარ აფხზეთ (სროგორ დასახლდნენ სენები აფხზეთს¹) მიხედვით ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ბალსქემით მცხოვრები მურღელიანთა გვარის სამი ერთმანეთის მოყვარული მის გაიფარა, უფროსი ადგილზე დაწნა, შეთანაქვემო სენებში წავიდა, ხოლო უმცროსი – აფხზეთში. უკანასკნელმა გვარიც შეიცვალა – ონიანად და არგუნად დაეწერნენ: აფხზეთთუ ლახ მურღულანი ქადრინე, მასარდ იხილის ი ხეჭუდალს შუნანს ლახუბაშ გუეშს ი იმბუალს მინე ხოშოლუ ნამბუალს, იმეი ანადხ ი ზღვიანს მინ ენეუ (სვიან. პროს. ტ. 1957:82) – „აფხაზეთში მურღელიანი“ რომ გადაეცა, მეტისმეტად უხარიათ და ეკოსხებიან სენეთის ძმების ამბავს („საქმეს“) და ჰყვებიან თავიანთი წინაპრების („უფროსების ჩხუცი- ების“) ჩაამბობს, როგორ წაიედნენ და დასახლდნენ ისინი იქ.



„იდეუაც დაიზრდებიან ...“

დაღვლი სენები თავიანთ ხეობას არც აფხაზეთს უწოდებენ და არც სენეთს. მივანი ამბობენ, რომ ეს ტერიტორია მარშანიების სამფლობელო იყო – კი, მაგრამ მარშანიები მარუშინები (უ სენები) არ იყვნენ ისტორიულად? ისინი თავიანთ თავს სენებს კი არ უწოდებენ, არამედ – „დაღვლს“ (მე-დაღ) და „დაღვლებს“ (დაღ-პრ). „უეტეს დაღში აღარაეინ თესავს, სენეთიდან გეგოსენინი“ – გეიოზრეს ხეობაში. საველე სამუშაოების დროს გაგარეკვით, რომ სენებში დღესაც კი არ აღიქვამენ კოდორის ხეობას აფხაზეთის ტერიტორიად, ამიტომაც უწოდებენ მას მათთვის უფრო ახლობელ, ანუ სენური საქართველოს ბუნებრივ ტომონიმს დაღ და არა კოდორ – ეს უკანასკნელი რომ სენური წარმომადგობისა იყოს, მაშინ უმლაეტიანი ფორმა *კოდეტერ უნდა გექნოდეს; ამიტომაც ქეთეან მარგიანი-დაღვანისა (1998:95) და ზურაბ ჭუმბურიძისეული გააზრება სენური სკოლი („ღრმა“) ლექსემიდან საანალოხო ტომონიმის მომდინარეობის შესახებ, საეჭვო ჩანს (ჭუმბურიძე, 2007:34); აფხსნეული რჩება, აგრეთვე, როგორც ძირისეული ო ხმოების სიგობის დაკარგვის, ისე ანლაეტის ს თანხმოების უეკალოდ გაუზინარების საკითხი. ესეც რომ არ იყოს, რაჭული სკოდორი²ს (მდინარე რიონის ერთი მონაკვეთის სახელწოდება ონსა და ამბოლაურს შორის) ანალოგიური ტომონიმები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ესენია სოფლები: სკინდ-ორი, სკანდ-ე (ჭიათურა), კუდ-არ-ო (რაჭა), კვად-ო



დაღვლი ეთეკიცი

¹ ეს გვარი მირგულიანი და მურგულიანი ფორმებით დადასტურებულია სენეთის ნაქარ წარწერებში (გრაფიტებში), სენურ ისტორიულ საბუთებსა (სლოვაკი, 1986:179, 1988:274) და სენეთის საისტორიო ძეგლებში (იბრაჰიმი, 1941:116).

ურა (მცირე მდინარე სოფელ ღორეშაში) და კოდაურა (ტყე ზემო იმერეთში). ეფიქრობთ, აღნიშნულ ტოპონიმთა თუ პიდრონიმთა გათვალისწინების გარეშე „კოდორის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობა სრულყოფილი ვერ იქნება.

აბაშის რაიონის მიკროტოპონიმთა რამდენიმეჯერ დასტურდება ფორმა კოდორე. თუ ამოვალთ ქართველურ ენათა ქრესტომატიული ხმოვანთშესატყვისობიდან (ქართ. ა: ზან. ო: სვან. ა) და ანგარიშს გავუწევთ როგორც კად ძირის სემანტიკას, ისე -ორ სუფიქსის განსაკუთრებულად ფართო გავრცელებულობას მეგრულში, მაშინ შესაძლოა ამ ლექსემისთვის საერთოქართველურ დონეზე აღვადგინოთ *კად-ძირი, რომელიც თანამედროვე ქართულის ყველა დიალექტსა თუ სალიტერატურო ენაში წარმოდგენილია ნაკად და ნაკადულ- ფუძეთა სახით. მისი ზანური შესატყვისი იქნებოდა კად-ორ, ხოლო სვანური - ღაკად (შდრ. ტოპონიმი ღაკად აფხაზეთში და პიდრონიმი ღაკადურა ჩხოროწყუს რაიონში). ვფიქრობთ, რომ კოდორი სვანური კადორ („მშრალი, ხმელი ადგილი, ხმელეთი“) სიტყვის „ზანიზებული ფორმა კი არ უნდა იყოს (მბრუნავი, 1989:132)“. არამედ ქართველური -კადძირის ამსახველი, რომელიც, ალბათ, „წყალს“ აღნიშნავდა თავის დროზე, ისეთ წყალს, შვის გულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან რომ იღებდა სათავეს (ღაკად-ის მნიშვნელობის განმარტებისთვის იხ. ვუკოლ ბერიძის, ქეთევან ძოწენიძის, ოთარ ქავჯაიას, პაატა ცხადაიასა და ვილენა ჯოჯუას იმერული და მეგრული ლექსიკონები). რომ კოდორი „წყლის“ სემანტიკას შეიცავს და არა „მთის ფერდობის ან ხმელეთისას“, უნდა ჩანდეს სამეგრელოს ტერიტორიაზე დაცული ერთი ტოპონიმიდანაც, ესაა კოდორ-ფონი (აბაშა). საყურადღებოა, რომ ნაკად-ელი მოხეურ დიალექტში აღნიშნავს „ფშანს, მდინარის განტოტებას“; ქართლში ის „სარწყავი წყლის ერთეული“ ან „ნაკეთის რწყვის დროს წყლის მიმართულებების შესაცვლელი ტიხარი“ (შდრ. გურული ნაკადი „ჩამოთხრილი ან ჩამოტყეული ფერდი“ და კოდ-შე „მთის კონცხი, ფერდობი, მდინარის ამადლებული ნაპირი“). ჩოლურული ასლან ლიპარტელიანის განმარტებით, კოდორ არის „ღრმა, მორევიანი მდინარე“.

აფხაზეთიდან დეენილმა, წარმოშობით ბალსზემოელმა არანა ქალღანმა (68 წლისა) ამგეარი რამ გეთხრა:

მი სუი ლტენე მეკელს, შტანს! ეჩხან ოდე კლუსორთე, ეჩე მირდა ემდურთხუშუ ზანს. ეჩხან ქოსწილან დლთე (დალდე თელღრა ხუი); ექქანლო აფხუშთს ურთხუშედურთხუშედ ზანს ხუიზას, ურჩამჩირე რანონს, კორჩარას, 1994 ზუნლო ლტოლთილარ ზებრიდ ბოლნისს, საბერძნეთთე ლლზიგლდ ქამქედ ბერძანულ ქორისგა - „დაბადებული ვარ სვანეთში („სყუნ-ეთ“-ს)“, მუყალში. იქიდან წაყედი ქლუსორში, სადაც თოთხმეტი წელი დაყეყე. იქიდან გაშოქეთხოვედი („გა-მო-ე-წულ-დი“) და ღში (მე დაღუღლები“ს) რაძლი ვარ; შემდეგ აფხაზეთში („აფხაზ-ეთ“-ს) ორმოცდახუთი წელი ვცხოვრობდი, ორჩამჩირის“ რაიონში, სოფელ კორჩარაში, 1994 წლიდან კი ლტოლვილები ვართ ბოლნისში, საბერძნეთში საცხოვრებლად გადასული ბერძენების სახლში“.

უკანასკნელ ხანებში ახალი ტოპონიმის („ზემო აფხაზეთი“) შემოღების მცდელობამ საშინლად გააღიზიანა სვანები, აფხაზები კი ძალზე გაასულდიდა. ალბათ, ჩვენი ხელისუფლების ამ ინიციატივამაც შეუწყო ხელი კოდორის ხეობის დაკარგვას (დროებით? - ვინ იცის?)!

ტოპონიმი ღაკადი და აფხაზური გვარი ა-სვან-უა'ც (შდრ. ა-შვან-უა „სვანეთი“) ხომ სვანეთთან მიმართებითაა შექმნილი. და საერთოდ, ცნობილია, რომ „დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა განსახლებას წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობის არსებობა სვანებისა და მეგრულ-ჭანების სახით“ (ჯვანაშია, 1959:15).

ააკი შანიძემ 1923 წელს ცეკრელი (პებუდელი) ელადიმერ სუბელიანისაგან ჩაიწერა დაღის ყოფაცხოვრების ამსახველი ტექსტი, რომელიც, შესაძლოა, ერთგვარ ისტორიულ დოკუმენტად თუ ეთნოგრაფიულ მასალადაც კი გამოგვადგეს, ოღონდ გარკვეული შეზღუდვებით. მასში ნათქვამია:




ქსენოლოცის ნაპრაღოთა საფეფლოში...

ხუარაჲ ვარკ მერმახენუ ლი ხოშა შუან...
 ხუარაჲ ვარკხენ ლი ლაზულალ ლინთისგამ
 მენგზარიმ, დალემ ი შუანემ მენგზარიმ. აღილ
 ლი მერმე სანზუტ ჯერილამ ვარკ, ამზაჲუმ
 ლაზულალ მენგზარიმ დალემ ი შუანემ (სეან.
 ქრესტ. 1978:187) – ხეარაჲის უღელტეხილის
 (“ხორხ-ს”) მეორე მხარეს არის დიდი სვანე-
 თი... ხეარაჲის უღელტეხილიდან არის დალსა
 და სვანეთში ზამთრობით მიმავლთა გზა
 (“სასიარულო ზამთარ’ს’შის მგზაუერ-ის,
 დაღის და სვანეთის”); კიდევ არის მეორე
 უღელტეხილი ჯერილაჲისა”, “ზაფხულობით
 მოსიარულეთათის დალსა და სვანეთში”. აკა-
 კი შანიძის მიერ 1923 წელს ჩაწერილ ტექ-
 სტშივე ჩანს ზემოსვანურ დიალექტთა ინტერ-
 უერტეცია ეცერიდან დაღის ხეობაში ჩასახ-

ელექლი 50 წლის ელაღიმერ სუბელიანის შეტყულებაში ნათესაობითი ბრუნვის მორყემის გამო-
 ყენებასთან დაკავშირებით. ტექსტში რამდენიმეჯერაა დასახელებული ჯუბერსა და საკენს შორის
 მდებარე ერთი უღელტეხილი, ესაა ხუარაჲ, რომელიც ნაკენეტეივარი წარმოებაა და ნებისმიერი
 ფორმანტი მას სწორედ ნაკენეტეივარ ფეფევე უნდა დავერთოს, მაგრამ წარმოშობით ბალსქეფეფე-
 დი მოქმედი არათუ ამ დაბოლოებას არ იხარხენებს (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), არამედ
 ის იქცევა ბალსქესოვლიდით და წარმოგვიდგენს ნათესაობითი ბრუნვის მორყემის თანხმონითი
 საწილის დაკარგულ ვარიანტს ოთხჯერ (ხუარაჲ ვარკ), სრული დაბოლოებით (ხუარაჲ ვარკ) კი ეს
 ტომოსიში მხოლოდ ერთხელ გვხვდება იმავე ტექსტში, თუმცა, სვანურ სინტაგმათა მორფონოლო-
 გიური წესების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, რომ ელაღიმერ სუბელიანს გამოყენებინა
 ან ხუარაჲ-ში ვარკ (თუ მხოლოდ ბალსქეფეფეორად ილაპარაკებდა). ან ხუარაჲ-ში ვარკ (ბალსქესოვარი
 დიალექტის მიხედვით), მაგრამ არც ერთი მოგანი ტექსტში დადასტურებული არ არის.

XIX საუკუნის დასაწყისში დაღის თემში, რომელიც წებუდღის ოლქში შედიოდა, შემდეგი ტო-
 პონიმებია დადასტურებული: საკეორიჲ დაღი, აეარა, ეამგარა, ზიმა, შვაქეჲ, ვარდა, თაფშიფა-
 ისბლა, ამგარა, ღათა, გენწეიში (ხორაჲა. 2004:105), ახლა კი დაღის ხეობა მოიცავს 17 სოფელს:
 ნაარბე, ღათა, კუტში, აჯარა, ხუტია, გენწეიში, ომარიშალი (ბალსქეფეფელთა წარმოთქმით
 “ომარიშარი”), ქეაფნარა, ზემა, სხალთა,
 ბუწეკერი, ბუბუგური, აბგარა, გეანდრა,
 ბარუმბა, ეელუნი, საკენი. 1889 წლის რუ-
 კაზე უკანასკნელი ტომონიმის ნაცვლად
 ბესარიონ ნიკარაძე ასახელებს კეანი
 ფორმას (ნიკარაძე, 1964:161), რაც ძალზე
 მნიშვნელოვნად გვეჩვენება საკენის ეტი-
 მოლოგიის გარკვევისათვის (“საკეერნე” >
 *სა-კუერნ > *სა-კუნ > *სა-ჰ > სა-კენ –
 აუსლაუტის გამარტივება სვანურში და რ
 სონორის დაკარგვა ინლაუტში ჩვეულებ-
 რივი მოვლენაა ქართველურ ენებში). რ-
 შეიძლება გადაისყოს კიდევ ამავე სიტყვა-



დაობლებული კოდორი

ში (შდრ. ლშ. რკუენ) და ანლაუტში მოგვევლინოს, ე. ი. არამდგრადი ფონემაა. კუნან, ვეიქრობთ, უშუალოდ უნდა იყოს, თუცა ის ერთ ბალსსემოურ ანდაზაშიც აქვს დადასტურებული მესტიელ მიხეილ ჩართოლანს (კუნან-ოლ ლქმათე ამჩედელი, ტუფ ერე ასხედა – “კევრნა საშოვარზე წასულა, ტყავი იქ დარჩენია” – ნივარაძე, 1964:224; შდრ. ივარული: კუნან ლქმათესერ აჩედე ო ტუფ ესერ ეჩოთუნტრა – “კევრნა საშოვარზე წავიდა და ტყავი იქ დავოვაო” – კორძაია, 2000:90; და ლახამულური: კენ ურან ღან ესერ ხოტმურა – “კევრნა ორჯერ არავის გაუტყავებიაო” – დაეთიანი 1973:46). კუნან და საკენ ფორმათა ურთიერთშეიძირისპირებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დელაბიალიზაციის პროცესის ისტორიისათვის სვანურში. აშკარაა, რომ საკენ ტოპონიმი ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მიერაა შექმნილი. სპეციალური ლიტერატურიდან (მ. ქაღდან) კარგა ხანია ცნობილია, რომ თანამედროვე ლახამულური კილოკავის ფონოტაქტიკას სპეციფიკურს ხდის დელაბიალიზაცია, რითაც ის საგრძნობლად უპირისპირდება ბალსქვემოური კილოკავების (აგრეთვე სვანურის სხვა დიალექტების) მონაცემებს, მაგრამ ლახამულელებს არასოდეს უცხოვრიათ კოდორის ხეობაში, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ საანალიზო ტოპონიმი ჭუბერელ – ფარელ – ეცერელ – ცხუმარელ – ბეროელთა ნაღვაწი უნდა იყოს. ზოგი ჩვენი კოდორელი ინფორმატორის მეტყველებაში ძალზე იშვიათად კუნან წარმოადგენილია ყუან ვარიანტის სახითაც საკენის მახლობლად მდებარე საძოვარი მთის აღსანიშნავად. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში აბრუპტივთა ურთიერთმონაცვლობასთან გვაქვს საქმე (რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში – შდრ. კევრნა / ყვერნა – “ურემზე დასასობი ბოძი” იმერულსა და ქიზურულ მეტყველებაში) და არაფერ შუაშია ზანიზმზე უსჯელობა (ყუან <მგერ. ცონა<ქართ. ყანა – მიბჩვანი 1989:261 – ძირისეული ხმოვნის უმლაუტი აუხსენილი რჩება). იმავე ტექსტებში გვხვდება ლე-კუა ტოპონიმიც, რომელიც, ვფიქრობთ, იგივე ქართული საკენია, ოღონდ სვანური გაფორმებით. ძალზე საინტერესოა, რომ სვანურ ვარიანტში ლაბიალური ელემენტი -ჟ- დაცულია, რაც ამ ძირის არქაულობაზე მეტყველებს კოდორულ სვანურში.

საერთაშორისო პროექტი **ECLiNG** (ხელმძღვანელი იოსტ გიპერტი), რომლის განხორციელებაში მონაწილეობს სამი ქვეყანა (გერმანია, პოლანდია, საქართველო), დაფინანსებულია Volkswagen-ის მიერ, ვიდუაუდლიო აპარატურა შექმნილია და საგანგებო კომპიუტერული პროგრამები შედგენილია გერმანულ ეთნოლინგვისტთა მიერ, ხოლო ადგილზე პრაქტიკულ სამუშაოებსა და ენათა თუ დიალექტთა მორფონოლოგიურ ანალიზს ახორციელებდნენ როგორც ქართველი, ისე გერმანელი სპეციალისტები. სვანურისთვის უკვე არსებობს მონაცემთა ბაზა, რომელიც სხვადასხვა სახის 2000-მდე გვერდის მოცულობის ტექსტებს შეიცავს, გადაღებულს 37 ფირფიტაზე. ჩაწერა მიმდინარეობდა უახლესი მეთოდებითა და უღვრათანამედროვე ტექნიკური აპარატურით – კადრები და მთქმელ-ჩამწერთა დიალოგები კინოფილმისთვის დამახასიათებელი სინქრონიულობითაა წარმოდგენილი კომპიუტერში, ასე რომ, საქმე გვაქვს ე. წ. მ ე ტ ყ ე ე ლ ტ ე ქ ს ტ ე ბ თ ა ნ. ადრეც ვიწერდით უმწერლობო ენათა და დიალექტთა ტექსტებს მაგნიტოფირებზე, მაგრამ მაშინ შეცდომის დაშვების მეტი ალბათობა იქნებოდა – ტექსტის ქაღალდზე გადმოწერის სმენით შესაძლებლობებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, ახლა კი კომპიუტერულ ეკრანზე მთქმელის ბავეთა თვალნათლივი მოძრაობით არაერთხელ შეიძლება შემოწმდეს ესა თუ ის საჭეო ფორმა.

საერთაშორისო პროექტში გათვალისწინებული იყო სვანური ენის ყველა დიალექტის მასალა, ამიტომაც კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველების მორფონოლოგიური ანალიზი მაშინ მოხერხდა მხოლოდ ათ ფირფიტაზე ფიქსირებული მონაცემების საფუძველზე; იმის გამოსაკვლევად კი, ეს მეტყველება ცალკე დიალექტს წარმოადგენს თუ ზემოსვანურ კილოთა ნაზავს, საჭირო იყო მულტიანგურული შრომა და კიდევ უფრო მეტი ფინანსები. უკანასკნელ ხანებში ეკონომიურად ესოდენ შეჭირვებულ ენათმეცნიერებს, რომ იტყვიან, პირდაპირ სულზე მოგვისწრო საქარ-

თველში ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჩამოყალიბებამ და მის მიერ ჩატარებულ პირველსავე კონკურსში გამარჯვების შედეგად მიღებულმა საკმაოდ სერიოზულმა დაფინანსებამ.

მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სიტუაციისა, დიქტოფონით ჩაიწერა და ეიდეოფორფიტებზე დაფიქსირდა გარკვეული ტექსტები (რიტუალები, სათავეგადასაჯლო ამბები, სამეურნეო საქმიანობის აღმნიშვნელი მასალები, დეკანტები, ზღაპრები, ისტორიული მოვლენები, ძველი და თანამედროვე ყოფის ამსახველი მონაცემები...), უძველესი ხალხური სიმღერები, ანდაზა-გამოცანები, რომელთა დინგივისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, ევრადლება მიგვეჩია ძალზე საინტერესო ფაქტებისათვის.

სვენი ტექსტების უმრავლესობაში ხვანები უდიდესი გულისტკივილით აქვეყნიან ორივე ამის (1993 და 2008 წ.წ.) მიმდინარეობისა და მათი უმძიმესი შედეგების შესახებ. პირველ შემთხვევაში "მთელმა საქართველომ წააგო ომი აფხაზეთში, ხოლო დაღის ხეობამ, კოდორის წყალი რომ რწყავს, ეს ომი მოიგო" (კაშია, 2004:5). ახლა კი, ვინ იცის, როდის დაუბრუნდებიან დაღვლები თავიანთ სამკვიდროს!!!



104 წ. შინა ჯაჭვლიან-ქონქიანს სულ ესიზმრებოდა დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მეუღლე...



კოდორის ხეობაში შეიღლაშვილების ელოდებოდა 106 წლის დიანოს (არეთა) ფარჯველიანი

კოდორის მოსახლეობის მეტწილესაში დადასტურდა ო რ გ ე ა რ ი ი ნ ტ ე რ ფ ე რ ე ნ ც ი ა :

ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა;

ბ) სვანური ენის ბალსემოურ და ბალსქემოურ დიალექტთა მონაცემებისა.

ინტერფერენცია შეინიშნება ლექსიკაში, მორფოლოგიაში, ფონეტიკა-ფონოლოგიაში, შედარებით იშვიათად – სინტაქსში.

აქაური მოსახლეობა თითქმის საუკუნეხანგრძლივად განმავლობაში მოქცეულია აფხაზური და რუსული ენების მატარებელი ხალხების მეზობლობაში; პირველ შემთხვევაში რადაც (ძირითადად, ფონოლოგიურ) გავლენაზე მსჯელობა მაინც შეიძლება. როგორც ჩანს, აფხაზურ და სვანურ ენებს ისტორიულად მეტი კონტაქტები აქონდათ ერთმანეთთან. ალბათ ამით იყო განპირობებული სიმონ ჯანაშიას ერთი დაკვირვება: „XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდის აფხაზური ენა კილოების მხრივ ბევრად

უფრო მდიდარი იყო. საფიქრებელია, რომ გარკვეული სპეციფიკური ახასიათებდა წებულისა და დაღის მოსახლეობის (მდინარე კოდორის ხეობის "ქემთა ნაწილში") მეტყველებას. აფხაზეთისა და მეზობელი ქვეყნების მმართველი წრეების სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის წყალობით, აფხაზურმა განიცავდა ძლიერი გავლენა ადიღური და ქართველური ენებისა, ნაწილობრივ – თურქულიც, მაგრამ, თავის მხრივაც, ერთგვარი შემოქმედება მოახდინა ქართველურ ენებზე" (ჯანაშია, 1959:223-226).

რაც შეეხება რუსულის გავლენას, აქ ძალზე იშვიათ ლექსიკურ ნასესხობებთან გვაქვს საქმე – გრამატიკა ფაქტიურად განზე რჩება:

მარტა პერეშალაი, გადასასტლელი ყარაჩაიში – „მარტაი უღელტეხილია, გადასასტლელი ყარაჩაიში“;

ჩუ მამ ხეგნულა ეჭი, ტერტალიოტ – „არ ჯღებოდა ის, ე, შექუმდყრენი“;

ჩუ ერ თანდლ ათენთე, მი ევამაჰ სუმკაწლ მულტუნ – „რომ ჩავედით ათენში, მე იმდენი ჩანთები მქონდა...“

განსაკუთრებით უჭირთ რთული რიცხვითი სახელების წარმოთქმა სვანურად და ამიტომაც ხშირად ქართულად (იშვიათად რუსულადაც) ამბობენ:

მი ხტი ღღუნ „სემდესიატაიატ ლეტ“ – „მე ვარ სამოცდათხუთმეტი წლისა“...

იმდენად ძლიერია ქართული ენის გავლენა, რომ მოქმედებისათვის საკმაოდ ხშირად გვკვირდება ერთი სიტყვის შესენება: ესაა ლუშნულ („სვანურად“) თუმცა სხვა შემთხვევაში არასდროს წაგრუხევართ მათი მეტყველების პროცესში, მით უმეტეს არაფერი გაგვისწორებია, თუნდაც მცდარად წარმოუთქვამთ ესა თუ ის ლექსიკა. როცა ბალსქვემოელ წინაპართა შთამომავალი ცდილობდა, ელაპარაკა ე. წ. „სუფთა“ სვანურად (რაც წარმოუდგენელია ნებისმიერი ენის მიმართ) და წამოსცდებოდა მიწაშთან („თაიშთან“) ყორანი, მაშინვე ახსენდებოდა, რომ მიწაცაზხან სჯობს და თავადვე ასწორებდა ქართულად – თან თანდებულმან მონაცემს.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მეტად გამოირჩევა თავისი არქაულობით. კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში ისეთი არქაისმებიც გვხვდება, რომლებიც აღარ იხმარება არც ენგურისა და არც ცხენისწყლის ხეობათა სვანურში, ალბათ, იმის გამო, რომ თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე ამ მოსახლეობას შორის მჭიდრო კონტაქტები აღარ იყო. იგივე ვითარება გრძელდება დღესაც ქვემო სვანეთთან მიმართებით. ქვემო სვანებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დღევანდელ თითო-ორულა რძალს) დაღში არ უცხოვრიათ, თუმცა რაღაც კონტაქტები რომ ჰქონდათ აქაურ მოსახლეობასთან, კარგად მანს გვნვანების ტერიტორიაზე მდებარე ერთი მიკროტოპონიმიდან. ესაა ლა-შხ-რე ნაღწუშ („ლა-შხ-ულ-ებ-იწ“ დანა-შაუ-ებ-ი“), სადაც ხუტეის დამხადების დროს დადუქულან ლაშხელები.

ჯერჯერობით მხოლოდ აქ და ლაშხეთის ტოპონიმიკაში (ძალზე იშვიათად ლენტეხშიც) შევინიშნეთ უ ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ამოსავალი (-ა აუსლაუტინი) ვითარება: ღწრა („მინდორი“), მგდა („...ისა...“ – სიტყვის მასალა), ღწხ. მაშუნა (ჩიხარეთის უგუმბათო ეკლესია – „უდიდესი“), შდრ. სხვა დიალექტების ღწრე, მგდე, მაშუნე... (ჩანტლადი, 1998:67-70).

საგულისხმოა, რომ 106 წლის არეთა (დიანოზ) ფარჯველიანის მეტყველებაში დადასტურდა ისეთი არქაული მონაცემი, რომელიც სვანური ენის არც ერთ დიალექტში, კილოკავსა თუ დღემდე არსებულ პუბლიკაციებში ჯერჯერობით არ შეგვინიშნავს. ესაა სისხლის საფასურის აღნიშვნული ლექსიკა წურ, ღღეს რომ ყველგან ი ხმოვანი ვარაინტით (წორ) გვიხვდება. უშგულური ქალა-წტრუ („სისხლის დაღენა“), ხს. ხ-ო-წტრუ („სისხლს უღენს“) და ანალოგიური ფორმების მიხედვით, ამოსავალში შეიძლება ვივარაუდოთ არარეფლექტირებული როგორც ო, ისე უ ხმოვანი,

106 წლის დაღვლი მოხუცის მეტყველების მიხედვით კი ორმაგი ვარაუდი გამოირიცხება – არქაულია საერთოქართველური ენობრივი სამყაროდან მომდინარე -წურ- (შდრ. ქართ. წურ-წური, მეგრ. ჭურ-ჭული) და არა თანამედროვე სევანური წორ. რაც შეეხება სევანურ სისინა სიბილანტს, სპეციალური ლტერატურის მიხედვით, აქ ბგერათშესატყვისობის დარღვევასთან, მეორეულ გასისინებასა (გ. როგაეა) თუ გამიშინებასთან (ჩუხუა 2000-2003:27-30:369) გეაქვს საქმე. მაშასადამე, კოდორის ხეობის ბალსქვემოური მეტყველების შესწავლის შემდეგ სევანურ ენაში აღარ არის საჭირო წურ ძირის “ვარსკვლავიანი” ფორმა, ის უკვე რეალურია, ცოცხალია, თუმცა არქაული – საერთოქართველური ეპოქიდან მომდინარე, რომელსაც მხარს უმაგრებს: ჩოლურული ხო-წუტირ<*ხო-წურ< *ხო-წურ-ე (“სისხლი უქონავს”) და ბჰ. წურგ, ბჰ. წურე “გონავს”).

-ა ხმოვანზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები თანამედროვე ზემოსევანურ დიალექტებზე მოლაპარაკე უმცროსი და საშუალო თაობის მეტყველებაში თითქმის აღარც მიჰყვება ორფუძიანი ბრუნების სისტემას.

სპეციალური ლიტერატურის (გარლამ თოფურია, თინათინ შარაძენიძე, მაქსიმე ქაღლანი, ზურაბ ჭუმბურიძე, იზა ჩანტლაძე) მიხედვით, ორფუძიანი ბრუნების სისტემის მოშლას თანამედროვე სევანურში განსაზღვრავს ქართულ ენასთან კონტაქტების განსაკუთრებული გაძლიერება XX საუკუნეიდან (სკოლა, სასოციალური დაწესებულებანი, რადიო, ფოსტა, ტელევიზია...), ეს შეეხება არა მხოლოდ ცალკეულ მორფემებს, არამედ თავად საბრუნებელ ფუძეებსაც: ბალსქვემოელ წინაპართა კოდორელი შთამომავალი როინ ჯაჭვლიანი ხმარობს ფორმას აღგნქა< *აღ-ა-გნ-ქა („ამას გარდა“), რაც სრულიად შეუძლებელია თვით ერთი (სახელობითის) ფუძის მიხედვით პარადიგმატული სისტემის გასწორების შემთხვევაშიც კი (სევანურ ენაში თანდებულები სახელს არ მართავენ სახელობით ბრუნებაში!), მაგრამ იმდენად ძლიერია დასაჯლური ქართულის (შდრ. აჭარული ი-გ-ზჱ ა-გ-ზჱ...) გავლენა, რომ მოქმედმა ეს ვარიანტი თავადვე შექმნა, თუმცა იმავე ფრაზაში გაასწორა ბუნებრივი (ამგნქა) ფორმით. რაც შეეხება უჯგუშ ჯაჭვლიანს, აქ საპირისპირო ეითარებაა – მოქმედი იყენებს თანხმოვანფუძიანი მსახდერულის სახდერულთან ბრუნებაში შეთანხმებულ უდრესად არქაულ ფორმას უ-ტად-ინ-დ რუ-ფხ-ილ-დ (,სუცვლელად მსაჯულად<მეფიცაულად“), რაც დღეს სევანურში აღარც ერთ დღელექტში აღარ იხმარება. 1963 წელს მსაჯულად<მეფიცაულად“ ბრუნების ზოგიერთი საკითხი სევანურში“ გივი მაჭავარიანი წერდა: „ისგვან“ ი დიდაბინ სრული შეთანხმება მსახდერულსა და სახდერულს შორის, რაც სევანურისათვის მეტად იშვიათი მოვლენაა“ (მაჭავარიანი, 1985:235).

უძველეს სევანურ სიმღერათა ტექსტებში მეშველი ზმინს მეოფადის ფორმები გვხვდება აწმყო-სეული სემანტიკით:

მი ხუროლე ტოტა ჰაიხან — მე ვარ (<„ვიქნები“) ტოტა ჰეხანი (სვ. პოეზ., 1939:54-56).

დღეს ამგვარ რასმე სევანურ ენის არც ერთ დიალექტში არა აქვს ადგილი, კოდორის ხეობაში კი ბალსქვემოელ წინაპართა შთამომავლების მეტყველებაში ეს მოვლენა შენარჩუნებულია (ეჭა მამი ირი? - ,,ის რაა <ვიქნება“?).

რადა თქმა უნდა, კოდორისა და ენგურის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში ძველ ქართულთან საერთო არქაიზმებიც გვხვდება (ვინ და რა ჯგუფის აღმნიშვნელ სახელთა გაუღიფერენციკრებლობა, მიმართებითობის შინაარსის გამოხატვა კითხვით ნაცვალსახელთა მიერ, ინკლუზიუ-ექსკლუზივის კატეგორია, ენის განვითარების “ხანმეტური” პერიოდი, პერფექტული ფორმების შემცველი “მცა” ნაწილაკიანი კონსტრუქციით მეოფადის სემანტიკის გადმოცემის უნარი, მიმდგომის ფორმათა მასდარისეული შინაარსის გამოხატვა, ორმაგი უარყოფა და ა. შ.).

¹ შემთხვევითი არაა, რომ ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კოლოკაზე მუშაობისას თინათინ შარაძენიძემ ოთხი თაობა (მოხუცები, შუახნისანი, სკოლადამთარებლები, ბავშვები) შენიშნა (შარაძენიძე, 1958:228).



იძულებით მიტოვებულ საცვლავთა ხეცა

სქემიურ დიალექტში ნათესაობითი შინის პოხიცაა უფრო მეტია, ვიდრე სენური ენის დანარჩენ დიალექტებში და ის არც პრეპოსიციულ მსახლერულში იკარგვის. მაშახადამე, აქ არქაისაციათთან, ანუ ძველ მოვლენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პირიქით — ინტერფერენციასთან, ანუ სრულიად ახალ მოვლენასთან. ამგვარ ყოვრმალურად მსგავს შემთხვევებსა და მოსახლეობის მცირეგვლებში მიმდინარე პროცესებს შორის აუცილებლად უნდა გაიყვას სადემარკაციო ხეცარი და ახალ ლინგვისტურ მოვლენას უსათუოდ უნდა მოექცნას ექსტრალინგვისტური საფუძველი — ამ შე მოხვევაში ზემო სფანეთიდან ადრე ნახახლებულ ბალსქემოულ და ბალსქემოულთა შიამომოქვლების ერთ სოფელში თანაცხოვრებას.

კოდორის ხეობის მოქმელთა უფროს თაობას ურწმუნია ხერთოქართველური უყვებიდას მომდინარე სიტყვები იხმაროს, ვიდრე რომელიმე ეცხო ენიდან ნახესხები. ამის ნაცვლად, რომ ბალსქემოულ გულო ქალდანს ვთქვა — ათხე ბებია ხტი ი ემღმუხ გეზლმგუხალ მირი („ახლა ბებია ვარ და თერთმეტი შვილიშვილი მეავს“) — თქვა: ათხე ბებია ხტი ი ემღმუხ გეზლი ნიბაშინ მირი (ნიბაშინ დღესაცაა შემორჩენილი სხვა ქართველურ ენებსა თუ ქართულის დასავლურ დიალექტებში „ბადიში“ — ყოვრითა და იმავე მნიშვნელობით).

